



სსკგ-ის თავმჯდომარე: უკრაინის ხელისუფლებას ყველა შესაძლებლობა აქვს იმისთვის, რომ უმე-ის წინააღმდეგ დევნილობის ტალღა შეაჩეროს



2021 წლის 20 ნოემბერს გადაცემაში „ეკლესია და მსოფლიო“, რომელიც შაბათს და კვირას ტელეარხ «Россия 24»-ზე გამოდის, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა გადაცემის წამყვანის, ეკატერინა გრაჩევას კითხვებს უპასუხა.

ე. გრაჩევა: გამარჯობა! ეს არის გადაცემა „ეკლესია და მსოფლიო“-ს დრო ტელეარხ „Россия 24“-ზე. აქ ჩვენ ყოველ გამოსასვლელ დღეს შეკითხვებს ვუსვამთ მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეს, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონს. მოგესალმებით, მეუფე!

მიტროპოლიტი ილარიონი: მოგესალმები, ეკატერინე! მოგესალმებით ძვირფასო ძმებო და დებო!

ე. გრაჩევა: ამ გამოსასვლელ დღეებში, ამ შაბათს დიდი დღესასწაული აქვს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას და ჩვენს გადაცემას: მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს 75

წლის იუბილე, რასაც ტელეარხ «Россия 24»-ის მთელი კოლექტივი მის უწმიდესობას გულითადად ულოცავს. ვიცი, რომ 65 წლის იუბილეზე თქვენ მას შემოქმედებითი საჩუქარი უბოძეთ – პატრიარქის შესახებ დოკუმენტური ფილმი გამოუშვიოთ. ამჯერადაც პატრიარქს როგორღაც შემოქმედებითად მიულოცეთ?

მიტროპოლიტი ილარიონი: ამჯერად მოვამზადე ახალი ილუსტრირებული წიგნის გამოცემა „პატრიარქი კირილე. ბიოგრაფია“, რომელიც მაშინვე დაიწერა, როცა ის პატრიარქი გახდა. შემდეგ, განახლებული სახით, ეს წიგნი გამოქვეყნდა სერიებში „გამორჩეული ადამიანების ცხოვრება“, ხოლო 75 წლის იუბილეზე გავაფართოვე, დავამატე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სულ ბოლო წლებში რა ხდებოდა: პატრიარქის ვიზიტებზე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიებში, მის საქმიანობაზე ქალაქ მოსკოვის ეპისკოპოსის რანგში.

პატრიარქს ძალიან საინტერესო ბიოგრაფია აქვს, რომელიც მისი ბაბუისა და მამის შესახებ თხრობით დავიწყე. მისი ბაბუა აღმსარებელი იყო, გაიარა ბანაკებსა და ციხეებში, იყო სოლოვეცკში, იქ სასწაულებრივად გადარჩა და შემდეგ ეს ძალიან ძლიერი რწმენა, უმძიმეს განსაცდელებს შორის გავლილი, თავის ვაჟს – მღვდელს და შვილიშვილს გადასცა, რომელიც შემდგომში პატრიარქი გახდა.

მერე ვყვები უწმინდესის მამაზე, მის ბავშვობაზე, საბჭოთა სკოლაში სწავლაზე – იმაზე, თუ როგორი რთული იყო ბიჭისთვის, ერთადერთისთვის, ვინც არ იყო პიონერი და პიონერულ ჰალსტუხს არ ატარებდა, უზარმაზარი პროპაგანდისტული მანქანისთვის წინააღმდეგობის განწევა. ის ჯერ კიდევ ბავშვობიდან, ყრმობიდანვე მართლმადიდებლობას იცავდა. ერთხელ ის დაფასთან გამოიძახეს, კითხვების დასმა დაუწყეს დარვინზე, მატერიალისტური მსოფლმხედველობის შესახებ, და ის პასუხობდა ისე, როგორც მას ოჯახში ასწავლეს. როგორც მას სწამდა. ამ რწმენით გაიარა მთელი ცხოვრება, საბჭოთა წლები.

მე ასევე ვყვები მომავალი პატრიარქის კირილეს მოძღვარსა და დამრიგებელზე – მიტროპოლიტ ნიკოდიმზე, რომელიც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გამოჩენილი იერარქი იყო, რომელმაც ეკლესიისთვის გარდამტეხ მომენტში ეპისკოპატის განახლების უზრუნველყოფა მოახერხა. მაშინ ხრუშჩოვისეული დევნა იყო და საბჭოთა ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ ეკლესიის სრულ გაქრობასა და იმოკვდინებაზე დადო ფსონი, ხოლო იმისთვის, რომ ეს მოკვდინება დაეჩქარებინა, საჭირო იყო ახალი ეპისკოპოსების ხელთდასახმის საშუალება არ მიეცა. მოხუცი ეპისკოპოსი კვდებოდა და მის ნაცვლად არავის ნიშნავდნენ. და მიტროპოლიტმა ნიკოდიმმა ეპისკოპოსებად ახალგაზრდების დანიშნაობა დაიწყო. როგორ აკეთებდა ამას? ის ამბობდა, რომ ეს ხალხი საზღვარგარეთ მსახურებისთვის იყო საჭირო, რათა საზღვარგარეთ არავინ თქვას, რომ სსრკ-ში ეკლესიას ავინროებენ, საჭიროა, რომ იქ ახალგაზრდა პერსპექტიული ხალხი წავიდეს. ისინი რამდენიმე წლით მიდიოდნენ საზღვარგარეთ, შემდეგ კი აქ ბრუნდებოდნენ და ეპისკოპოსები ხდებოდნენ. სწორედ ასე წავიდა მომავალი უწმინდესი პატრიარქი ჟენევაში, შემდეგ კი დაბრუნდა, გახდა ლენინგრადის სასულიერო აკადემიის რექტორი და 29 წლის ასაკში – ეპისკოპოსი.

შემდეგ ვსაუბრობ პატრიარქის ცხოვრების შემდგომ ეტაპებზე: იმაზე, თუ როგორ მეთაურობდა იგი ოცი წლის განმავლობაში საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილებას, როგორ მეთაურობდა

კალინინგრადისა და სმოლენსკის ეპარქიას და, რა თქმა უნდა, მისი პატრიარქობის თითქმის ცამეტი წელზე.

ე.გრაჩევა: მეუფევე, თქვენ ახლახანს დაბრუნდით ამერიკიდან. თქვენ იქ შეხვდით გაეროში რუსეთის მუდმივ წარმომადგენელს ვასილი ნებენზის. ახლახან გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გამოაქვეყნა გადანწყვეტილება, რომელშიც მკაფიოდ ჩამოყალიბდა შემოთავაზება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეთა უფლებების დარღვევის თაობაზე. იგივე დოკუმენტი ავალებს უკრაინის ხელისუფლებას, უკრაინაში რელიგიის თავისუფლების გარანტირება მოახდინოს და იქ მომხდარი მორწმუნეების მიმართ ძალადობის ყველა შემთხვევის გამოძიება უზრუნველყოს. გვერათ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელსაც საყვედურობენ იმის გამო, რომ ვერ ახერხებს სისხლიანი კონფლიქტების მოგვარებას, უკრაინაში მორწმუნეების მდგომარეობის საქმის როგორმე შეცვლას შეძლებს?

მიტროპოლიტი ილარიონი: მე დადებითად ვაფასებ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ამ გადანწყვეტილებას, რადგან პირველად საერთაშორისო პლატფორმაზე ნათლად ითქვა, რომ უკრაინაში ირღვევა ადამიანის უფლებები. ჩვენ ვიცით, სინამდვილეში როგორ ხდებოდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის თემების ეს ე.წ. „გადასვლა“ განხეთქილებაში მყოფ სტრუქტურებში. უმეტეს შემთხვევაში, არანაირი ნებაყოფლობითი გადასვლა არ ყოფილა, არამედ ტაძრების მიტაცება იყო. თანაც მიტაცებას თან ახლდა ძალადობა, ცემა, მორწმუნეების ტაძრებიდან გაყრა, მღვდლების ქუჩაში გაგდება. ბევრი ტაძარი, რომლებიც უკრაინის კანონიკურ ეკლესიას წაართვეს, ახლა ბოქლომითაა დაკეტილი, ხოლო მრევლი, რომელიც იქიდან გამოაგდეს, ღვთისმსახურებას ღია ცის ქვეშ ესწრებიან ან რომელიღაც დაქირავებულ შენობაში იყრის თავს. ზოგან მიტაცებულის ნაცვლად უკვე ახალი ტაძრები აშენდა, მაგრამ მთელ ამ უკანონობას, რომელიც პრეზიდენტ პოროშენკოს დროს ხდებოდა, ვერ არ მიუღია საერთაშორისო საზოგადოების სათანადო შეფასება. ახლა ეს შეფასება გაკეთდა, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია.

შეცვლის თუ არა ეს უკრაინაში ვითარებას? ვფიქრობ, ეს პირველ რიგში უკრაინის ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. თუ ისინი მოუსმენენ, რა ითქვა გაეროს პლატფორმაზე, თუ სურთ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დევნის ეს ტალღა შეაჩერონ, მაშინ მათ ამისთვის ყველა შესაძლებლობა აქვთ.

ე. გრაჩევა: გაეროს დოკუმენტის პარალელურად აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა ხმამაღალი განცხადება გააკეთა: მან რუსეთი დაასახელა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც გამოირჩევიან „რელიგიური თავისუფლების სისტემატური და აღმამოფოთებელი დარღვევებით“. ჩვენ ამ სიაში ვართ, მაგალითად, მიანმოს, ჩინეთის, ირანის, ჩრდილოეთ კორეის, პაკისტანის, საუდის არაბეთის გვერდით. აშშ-ს სახელმწიფო თავის შეფასებაში ეყრდნობა რელიგიური თავისუფლების შესახებ 1993 წელს აშშ-ში მიღებული აქტის ნორმებს, რომ თითქოს რუსეთი ამ ნორმებს არ შეესაბამება. ნორმების რა სტანდარტებზეა საუბარი და რას ფიქრობთ ყოველივე ამის შესახებ?

მიტროპოლიტი ილარიონი: ვფიქრობ, რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლებს უნდა ჰკითხოთ, როგორ გრძნობენ ისინი თავს ჩვენს ქვეყანაში. მე შევდივარ რუსეთის რელიგიათაშორის საბჭოს

შემადგენლობაში, რომელშიც წარმოდგენილია მართლმადიდებელი ეკლესია, მუსლიმი თემებიც, იუდეველებიც და ბუდისტებიც. ჰკითხეთ ამ საბჭოს ნებისმიერ წარმომადგენელს: ისინი დევნილნი და შვეინროვებულნი არიან თუ კმაყოფილნი? მე ვფიქრობ, რომ თითოეული მათგანი ერთმნიშვნელოვან პასუხს გაგცემთ, რომ რუსეთში არანაირი რელიგიური თავისუფლება არ ირღვევა, რომ ტრადიციული კონფენსიები თანაბარნი არიან კანონის წინაშე, რომ ყველა ტრადიციულ კონფენსიას აქვს შესაძლებლობა დაუბრკოლებლად განვითარდეს.

სხვა საქმეა, რომ ჩვენთან, მაგალითად ზოგიერთი სექტა, ისეთი როგორცაა ე.წ. „იელოვას მონმეები“ – აკრძალულია. მაგრამ, ჯერ ერთი, რუსეთი არ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ეს სექტა აიკრძალა. მეორეც, ის აკრძალულია არა თავისი რელიგიური საქმიანობისთვის: მის საქმიანობაში ექსტრემიზმი იქნა გამოვლენილი, ამიტომაც ის აკრძალული. თუ ეს შეიძლება ჩაითვალოს რელიგიური თავისუფლების დარღვევად, ჩვენ ჩვენი მხრიდან ასე არ მიგვაჩნია, იმიტომ რომ ყველა ეს ზომა მიღებულია იმისათვის, რომ ჩვენი ერი ექსტრემისტული გამოვლინებისგან დაიცვას.

ე. გრაჩევა: მეუფევე, ბოლო დროს მსოფლიო საზოგადოების და მასმედიის ყურადღება ბელარუს-პოლონეთის, ბელარუს-ევროკავშირის საზღვრისკენაა მიმართული. სახეზე მძაფრი მიგრაციული კრიზისია. გერმანიამ, მერკელსა და ლუკაშენკოს შორის მოლაპარაკებების შემდეგ, მწვავე ფაზის გამარტივება მოახერხა. არსებობს იმედი, რომ დაფინანსება და ჰუმანიტარული დახმარება იქნება ევროკავშირიდან. როდესაც ვუყურებ ჩვენი კოლეგების რეპორტებს საზღვრიდან, ისინი ესაუბრებიან მიგრანტებს ერაყიდან, სირიიდან, ეკითხებიან, რამ აიძულა ისინი წასულიყვნენ ევროკავშირში უკეთესი ცხოვრების საძიებლად. ისინი ძალიან არგუმენტირებულად ხსნიან, თუ რატომ არიან დამნაშავეები დასავლეთის ქვეყნები, შეერთებული შტატები იმაში, რომ მათი შვილები არიან განათლების გარეშე, საკვების გარეშე, ტანსაცმლის გარეშე, რატომ არიან იძულებულნი დატოვონ სახლები, რატომ იყო ჰუსეინის დროს მშვიდობა, და ახლა ისინი აქ ტყეებში, კარვებში იმალებიან, ფუთავენ ორი თვის ბავშვებს. მოკლედ, როცა მათ უსმენ, გჯერა მათი. ისინი თავიანთ პოზიციას არგუმენტებით ამყარებენ. როგორ მიგაჩნიათ, ევროკავშირის ქვეყნებისთვის მარტივი იქნება თუ არა, გარდა იმისა, რომ ეს ხალხი უნდა გამოკვებოს და გაათბოს, ასევე გადაარწმუნოს, რომ დასავლეთი არ არის დამნაშავე მათ მძიმე ყოფაში?

მიტროპოლიტი ილარიონი: ვფიქრობ, რომ მათი გადარწმუნება ვერ მოხერხდება. ხოლო გლობალური ჰუმანიტარული კრიზისის მიზეზი, რომელმაც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები მოიცვა, უპირველეს ყოვლისა, ახლო აღმოსავლეთის რიგი ქვეყნების პოლიტიკურ სიტუაციაში დასავლური ხელისუფლებების ჩარევაა და, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების. მე ამ ვითარებას ქრისტიანული ყოველთვის პერსპექტივიდან ვუყურებ, რადგან ჩვენი უშუალო თანამოსაუბრეები ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანული თემების წარმომადგენლები არიან. თუ ვისაუბრებთ, მაგალითად, ერაყში არსებულ მდგომარეობაზე, მაშინ იქ არსებობდა რეჟიმი, რომელიც შეერთებულმა შტატებმა დიქტატორულად და ანტიეროვნულად გამოაცხადა. იყო თუ არა ის ასეთი – ესაა საკითხავი, რომელზეც პასუხის გაცემა პოლიტოლოგებს შეუძლიათ. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, სადამ ჰუსეინის დროს ადგილობრივი ქრისტიანები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. მათი რიცხვი ქვეყანაში მილიონნახევარი იყო. მას შემდეგ რაც ჰუსეინის რეჟიმი დაემხო, იქ ტერორისტებმა თავი წამოწიეს: დაიწყო თავდასხმები ქრისტიანების სახლებზე, მათ კლავდნენ, თავიანთი საცხოვრებლებიდან დევნიდნენ. ქრისტიანთა ძირითადი ნაწილი იძულებული გახდა ერაყი დაეტოვებინა – მილიონნახევრიდან ახლა, საუკეთესო შემთხვევაში, იქ მხოლოდ ამის მეთედვილად დარჩენილი.

ამრიგად, მიგრაციული კრიზისი, რომელმაც ახლა ევროპის მრავალი ქვეყანა მოიცვა, უშუალო კავშირშია იმასთან, რითაც ამერიკის შეერთებული შტატები ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში იყო დაკავებული. ეს იმ ბალანსის დარღვევის პირდაპირი შედეგია, რაც ამ გარე ჩარევის შედეგად მოხდა.

ე. გრაჩევა: მეუფევ, ამ კვირაში სასამართლომ ტელეარხი „My3-TB“-ი მუსიკალური ცერემონიის დროს გეი პროპაგანდის გამო დააჯარიმა. ჩვენ ეს თემა თქვენთან ერთად განვიხილეთ. ახლა სასამართლოს ოფიციალური გადაწყვეტილება არსებობს. მილიონი რუბლი – ეს ბევრია, ცოტაა? სასჯელი, თქვენი აზრით, მკაცრია თუ მსუბუქი?

მიტროპოლიტი ილარიონი: მე არ ვიცი, ეს ბევრია თუ ცოტა – მილიონი რუბლი ტელეარხისთვის, მაგრამ ვფიქრობ, რომ თუ ქვეყანაში გეი პროპაგანდა აკრძალულია, მაშინ კანონის ნებისმიერ დარღვევას შესაბამისი ზომები უნდა მოჰყვეს. ჩვენ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში ყოველთვის ვსაუბრობთ იმაზე, რომ ბუნების სანინალმდეგო მანკიერებების პროპაგანდა გამოუსწორებელ ზიანს აყენებს, განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებს. კანონი ჩვენს მხარეზეა. ამიტომ, თუ კანონი ირღვევა, მაშინ დამნაშავეები შესაბამისად უნდა დაისაჯონ.

აქ შეიძლება უფრო ფართოდ დაისვას კითხვა: რაში მდგომარეობს ან უნდა მდგომარეობდეს სატელევიზიო არხების აღმზრდელობითი როლი? თუ ჩვენ გადავხედავთ იმის ძირითად შინაარსს, რასაც არჩვენებენ ჩვენი ტელეარხებით, სხვადასხვა სერიალებით, მაშინ დავინახავთ, რომ ამ სერიალებში არც ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა არ არის და არც – ჯანსაღი ოჯახური ცხოვრების. ჩვენ ამ სერიალებში ვერ ვიხილავთ მრავალშვილიან ოჯახებს, ბედნიერ ბავშვებს. ძირითადად, ყველა სიუჟეტი ცოლ-ქმრულ ღალატზეა აგებული, რაც მაყურებლის მიერ თითქმის ნორმატიულად აღიქმება. ვფიქრობ, რომ ეკლესიასაც და საზოგადოებასაც ბევრი კითხვა აქვს ჩვენს სატელევიზიო არხებთან. პირველ რიგში, ეს კითხვები ეხება იმას, თუ როგორ აღმზრდელობით ფუნქციას ასრულებენ ისინი.

ე.გრაჩევა: დიდი მადლობა, მეუფევ, რომ ამ ამბებს კომენტარი გაუკეთეთ.

მიტროპოლიტი ილარიონი: გმადლობთ, ეკატერინე.

გადაცემის მეორე ნაწილში მიტროპოლიტმა ილარიონმა მაყურებლების შეკითხვებს უპასუხა, რომლებიც გადაცემის „ეკლესიისა და მსოფლიო“-ს ვებ-გვერდზე შემოვიდა.

კითხვა: მე ახლახან დავიწყე ბიბლიის კითხვა. ბევრი გაუგებარი და ძნელად აღსაქმელი ადგილია. მაგალითად, რა იყო ედემის შეცნობის ხის თავდაპირველი დანიშნულება – პირველი ადამიანების გამოსაცდელი და საცდუნებელი? თუ ღმერთს შეეძლო წინასწარ ეხილა მოვლენების ცნობილი სამწუხარო მიმართულება, მაშინ რატომ დაუშვა რომ ეს მომხდარიყო?

მიტროპოლიტი ილარიონი: თქვენ მიერ დასმული შეკითხვის მიხედვით, თქვენ ახლახან დაიწყეთ ბიბლიის კითხვა და დაბადების წიგნის პირველი რამდენიმე თავი წაიკითხეთ. ეს თავები მოგვითხრობს, თუ როგორ შექმნა ღმერთმა ცა და მიწა, შექმნა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად, როგორ შექმნა ღმერთმა პირველი ცოლ-ქმარი, ადამი და ევა, რომლებიც შემდგომში გველმა აცდუნა, არ დაემორჩილნენ უფლის მცნებას და შექამეს სიკეთისა და ბოროტების შეცნობის ხის აკრძალული ნაყოფი.

რა თქმა უნდა, როდესაც თქვენ ამ მოთხრობას კითხულობთ, უნდა გესმოდეთ, რომ ის გარკვეულ სიმბოლურ ენაზეა დაწერილი. საბოლოო ჯამში, საუბარია იმაზე, თუ რატომ შეუძლია ადამიანს არ დაემორჩილოს ღმერთს. თქვენ კითხულობთ, რატომ არ შეუშალა ღმერთმა ხელი, მაგრამ შეხედეთ თქვენს საკუთარ ცხოვრებას, თქვენს გარშემო მყოფი ადამიანების ცხოვრებას, თქვენ და სხვა ადამიანები ყოველთვის ასრულებთ ღვთის ნებას? ან იქნებ ზოგჯერ იღებთ გადაწყვეტილებას ღვთის ნების წინააღმდეგ იმოქმედოთ, რადგან თქვენი ადამიანური ნება ასე გკარნახობთ? ..

თუკი ღმერთი აღკვეთდა ადამიანის ნებისმიერ უგუნურ ქცევას, მაშინ ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ ჩვენ თავისუფალი ნება არა გვაქვს. ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით, როგორშიც მარიონეტები არიან თოჯინების თეატრში. როგორ მოძრაობენ თოჯინები თოჯინების თეატრში? ისინი თოკებითა არიან დაკიდებული. თუ ხელის აწევას საჭირო, თოკი მოძრაობს. თუ ფეხის აწევას საჭირო, სხვა თოკი მოძრაობს. ღმერთს რომ ასეთ მარიონეტებად შევექმენით, მაშინ ასეთებად შეგვექმნიდა, მაგრამ მაშინ ესენი ჩვენ კი აღარ ვიქნებოდით, არამედ რალაც სხვა არსებები.

ღმერთმა ჩვენ თავისუფლება მოგვცა. ეს თავისუფლება გულისხმობს იმას, რომ გვაქვს არჩევანის უფლება სიკეთესა და ბოროტებას შორის. სინამდვილეში, სიკეთისა და ბოროტების შეცნობის ხე – ეს არის სიმბოლო იმისა, რომ ადამიანს შეუძლია სიკეთის გზაზე სიარული, მაგრამ თუ ის მოისურვებს, შეუძლია ბოროტების გზაზეც იაროს. ღმერთი არ უშლის ხელს, რადგან არ არღვევს ადამიანის თავისუფლებას. მაგრამ ადამიანის ამოცანა და დანიშნულება ისაა, რომ ღვთის ნება შეასრულოს, რათა ეს ხატება, რომლის მიხედვითაც ადამიანი შეიქმნა, გამოავლინოს და განავითაროს საკუთარ თავში, ანუ შეასრულოს ღვთის ნება, და არა ის ადამიანური ნება, რომელიც ხშირად ღვთის ნების წინააღმდეგაა მიმართული.

ამიტომ, საბოლოო ჯამში დაბადების წიგნში მოცემული ეს ამბავი თავად საკუთარ თავთან მიმართებაში უნდა წაიკითხოთ და ჰკითხოთ საკუთარ თავს: და მე მზად ვარ აღვასრულო ღვთის ნება, მზად ვარ არ ვჭამო აკრძალული ნაყოფი? თითოეულმა ადამიანმა იცის, რომელი ხილია მისთვის აკრძალული, და ყველასთვის ის შეიძლება იყოს თავისი, სხვებისგან განსხვავებული.

კითხვა: არც ძველ და არც ახალ აღთქმაში არ შემხვედრია ისეთი მცნება, რომელიც მორწმუნეს მარხვის დაცვას ავალდებულებს. კითხვა: ხანგრძლივი მარხვის დაცვა, ოთხშაბათს და პარასკევს და სხვა მარხვის დღეებში უმარხო საკვებისგან თავის შეკავება – ეს ყველაფერი შემდგომი დროის კანონიკური დადგენილებებია და ეკლესიის წეს-განგებითი განსაზღვრებებია, თუ იქნებ ისინი მაინც ღვთის მცნებებთანაა დაკავშირებული?

მიტროპოლიტი ილარიონი: პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ როგორც ძველ აღთქმაში, ასე ახალ აღთქმაში მარხვა არის მოიხსენიებული. ძველი აღთქმიდან მოგიყვანთ მაგალითს იონა წინასწარმეტყველის წიგნიდან, რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ სურდა ღმერთს დაესაჯა ქალაქი ნინეფია იმ მრავალი მანკიერებისთვის, რომლებშიც ჩაფლული იყვნენ მისი მკვიდრნი. მაგრამ როცა იონა მოსახლეობასთან მივიდა და ღვთის სახელით ამხილა ისინი, მაშინ ხალხმა საკუთარ თავს მარხვა დაუნესა, მათ რამდენიმე დღე არც არაფერი უჭამიათ და არც დაუღვევიათ, შედეგად, ღმერთმა წყალობა მოილო ქალაქზე და სასჯელი გაუქმდა. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია. არის სხვა მაგალითებიც.

თუ ვისაუბრებთ იმ მრავალდღიან მარხვებზე, რომლებიც ახლა მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებობს, მაშინ, მართლაც, ეს არის შემდგომი დროის დადგენილება. როდესაც ჩვენ ვკითხულობთ, მაგალითად, IV საუკუნის ისტორიულ ქრონიკებს, ვხედავთ, რომ იყო მხოლოდ ერთი ხანგრძლივი მარხვა – დიდმარხვა. უფრო მეტიც, ეკლესიის სხვადასხვა ნაწილში მას სხვადასხვანაირად იცავდნენ, მისი ხანგრძლივობა განსხვავებული იყო. შემდეგ თანდათან, სამონასტრო ტრადიციის გავლენით, სხვა მრავალდღიანი მარხვები დაწესდა.

რაც შეეხება ოთხშაბათისა და პარასკევის ერთდღიან მარხვებს, ისინი ეკლესიის არსებობის ადრეულ ეტაპზე გამოჩნდა მაცხოვრის ტანჯვის გასახსენებლად.

კითხვა: როგორ გავიგოთ განსხვავება უმოქმედობასა და ღვთის ნებისადმი მინდობას შორის? მაგალითად, მე მჭირდება გარკვეული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოქმედების შესრულება და მე კარგად მესმის, რომ სანამ მე რამის კეთებას არ დავინყებ, არაფერი მოხდება. თუმცა, როდესაც მღვდელს მივმართე განმარტებისთვის, მან მიჩნია, მივინდო ღმერთს და მითხრა, რომ ყველაფერი, რაც უნდა მოხდეს, მისი ნებით მოხდება და არა ჩემი ქმედებით. როგორ შეიძლება ეს მოხდეს, თუ მე უბრალოდ გულზე ხელ-დაკრეფილი ვიჯდები?

მიტროპოლიტი ილარიონი: მეეჭვება, რომ თქვენ მღვდელს რაიმე კონკრეტული შეკითხვა დაუსვით, მან კი კონკრეტული პასუხი გაგცაოთ კონკრეტულ სიტუაციაზე, სადაც თქვენ შეგეძლოთ რაღაც გაგეკეთებინათ, ან შეგეძლოთ არაფერი არ გაგეკეთებინათ, და მღვდელმა ყველაფერი აწონ-დანონა და სანინააღმდეგოდ, გირჩიათ თქვენ არაფერი გაგეკეთებინათ. ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია. მაგალითად, რამე პრობლემა ჩნდება და ჩვენ გვინდა ის რაც შეიძლება მალე მოვაგვაროთ. და თუ სულ ცოტას დაველოდებით, მაშინ ეს პრობლემა მოგვარდება, თავისთავად განიწოვება.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ყოველთვის და ყველა სიტუაციაში გულ-ხელ-დაკრეფილი უნდა ვიჯდე. უფალი საერთოდ არ მოგვინოდებს ამისკენ. თუ თქვენ პატივს სცემთ იმას, რასაც უფალი იესო ქრისტე თავის მონაფეებს და თავის მსმენელებს სახარებაში ეუბნებოდა, მაშინ ის ყოველთვის მოუწოდებდა აქტიური სახის მოქმედებისკენ. ის არასოდეს ამბობდა: იჯექით გულ-ხელ-დაკრეფილნი, დაელოდეთ, სანამ ღმერთი თავად გააკეთებდეს შენთვის ყველაფერს, მიენდეთ ღვთის ნებას. დიას, რა თქმა უნდა, ღმერთის ნება მოქმედებს სამყაროში, მაგრამ ადამიანის ნებაც ასევე მოქმედებს სამყაროში. ღმერთი არის ამ მთელი მსოფლიოს შემოქმედი, სამყაროს შემოქმედი. მან შექმნა ყველა ადამიანი. მაგრამ ის ასევე მოუწოდებს ადამიანებს იყვნენ საკუთარი ცხოვრების შემოქმედნი, რათა თავის გარშემო მყოფი

სამყარო განავითარონ.

როცა ღმერთმა ადამი და ევა სამოთხეში დაასახლა, მაშინ მან მათ უთხრა: გააშენეთ ეს ბაღი, იზრუნეთ მასზე, ანუ მათ თავიდანვე კონკრეტული საქმე ჩააბარა. და ის თითოეულ ადამიანს ანდობს საქმეს, რაც გამოიხატება იმით, რომ ადამიანი ქმნის ოჯახს, ზრდის შვილებს. ადამიანს აქვს სამუშაო, აქვს გარკვეული მონოღება. ყველაფერ ამას ღვთის ნების მიხედვით ვასრულებთ. და იმას, რასაც ჩვენ არ ვაკეთებთ ღვთის ნების მიხედვით, ღვთის ნების სანინააღმდეგოდ – ეს არის ჩვენი ცოდვები, მანკიერებები და ეკლესია მათ წინააღმდეგ ბრძოლას მოგვინოდებს.

მე მინდა ეს გადაცემა დავასრულო იესო ქრისტეს სიტყვებით მათეს სახარებიდან: „ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი, რადთა არა ერუენო კაცთა მმარხველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად; და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“ (მთ. 6:17-18).

ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ. გაუფრთხილდით საკუთარ თავს, გაუფრთხილდით თქვენს საყვარელ ადამიანებს, უფალი გფარავდეთ ყველას.

სსკვ-ის კომუნიკაციის სამსახური

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88495/>